2022 წელი

ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის

მარიამ ზაქარიაშვილის

საქმიანობის წლიური ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე'' - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილების დანართი №2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, საკრებულოს წევრის ვალდებულებაა ამომრჩევლების წინაშე წელიწადში ერთხელ 1-ლ ნოემბრამდე წარადგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დოკუმენტი წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მარიამ ზაქარიაშვილის მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2021 წლის 2 ოქტომბერს გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, 2021 წლის 3 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ის 24-ე მუხლის ,,ბ" და ,,გ'' ქვეპუნქტებისა და საკრებულოს №-1 განკარგულების შესაბამისად, ცნობილ იქნა მე-7 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

მარიამ ზაქარიაშვილი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრი

საარჩევნო ფორმა: პროპორციული სიით

ფრაქცია: " ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო "

კომისიები: ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის წევრი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

სხვა აქტივობები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია; ქალაქ თბილისის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი; ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის წევრობამდე - განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

დაესწრო:

- საკრებულოს სხდომა - 13 სხდომას
- ფრაქციის სხდომა - 19 სხდომას
- განათლებისა და კულტურის კომისია - 4 კომისიას
- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისია - 9 კომისიას
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია - 12 კომისიას

განიხილა:

- ფრაქციის სხდომა - 25 საკითხი
- განათლებისა და კულტურის კომისია - 31 საკითხი
- ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისია - 25 საკითხი
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია - 214 საკითხი

საკრებულოს სხდომაზე მიიღებული იქნა 649 განკარგულება და 113 დადგენილება.

ზოგადი ინფორმაცია

საკრებულოს მიერ მიღებული, დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა;
- ურბანული განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 1 559 866,6 ათასი ლარით განისაზღვრა.

კომისიური საქმიანობა

ეკონომიკური პოლიტიკის, მდგრადი განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

განხილული ძირითადი საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ;
- საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების შესახებ;
- "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

- თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესში ცვლილებების შესახებ;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ. 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგარდი ურბანული მობილობა საქართველოში“ პროექტის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
- დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ;
- ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე მხარდამჭერი ღონისძიების შესახებ;
- კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი და დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების საკითხი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022წ. ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის ფარგლებში, უკრაინელი მოქალაქეების საცხოვრებელით და კვებით უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2022 წლის მარტის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით სასტუმროების მომსახურების ხარჯები 14,600, 0 ათასი ლარით ანაზღაურდა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს სახელდების განხორციელების პროცესში და შესაბამისად თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის ასახვას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

მნიშვნელოვანი თარიღები:

- სახელმწიფო დროშის დღე (14 იანვარს საკრებულოს შენობის ისტორიული აივნებიდან გადმოიკიდა საქართველოს დროშა)
- 25 თებერვალი (სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მუდმივად ახორციელებს იუნკერთა შესახებ ინფორმაციის მოძიებას და კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან მათი სახელების დამკვიდრებას)
- 9 აპრილი (სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით თბილისში 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ყველა ადამიანის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი არსებობს)
- 8 აგვისტო (წლის 8 აგვისტოს, კომისიის ინიციატივით თბილისში არსებულ 12 გეოგრაფიულ ობიექტს ომში გარდაცვლილი მებრძოლების სახელები ეწოდა, მათ შორისაა ეროვნული გმირების, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სკვერი და ალექსანდრე ონიანის ქუჩა. გარდა მებრძოლებისა კომისიამ საკრებულოს წინაშე დააყენა ინიციატივა ქუჩებისთვის ომში გარდაცვლილი ჟურნალისტის გიგა ჩიხლაძის, ფოტორეპორტიორის ალექსანდრე კლიმჩუკის და ჰოლანდიელი ტელეოპერატორის სტან სტორიმანსის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ დაიწყო კონკრეტული სამუშაოები თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭების მიზნით, როგორებიც არიან:

- ანზორ ერქომაიშვილი
- რეზო გაბრიაძე
- გიგა ბათიაშვილი
- გურამ დოჩანაშვილი
- გურამ საღარაძე
- დავით წერედიანი
- გომარ სიხარულიძე
- ჯემალ ჭკუასელი
- კუკური ჭოხონელიძე
- ზურაბ ბაკურაძე

- თემურ წიკლაური
- ნურგზარ აფხაიძე
- ავთანდილ შარვაძე
- ოდისეი დიმიტრიადი
- ლევან ალექსიძე
- ჯანსუღ კორძაია

ეს მოკლე ჩამონათვალია იმ კულტურის,განათლების,მწერლობის, მეცნიერების, სპორტის სფეროს მოღვაწეთა სახელებთან ერთად, რომლის სახელდებაც განხორციელდა ერთი წლის განმავლობაში. ასევე, კომისიის ინიციატივით თბილისის ქუჩებს შეემატა - პირველი ქართველი ქალი მფრინავის, ფადიკო გოგიტიძის სახელიც.

ფრაქციის საქმიანობა

უმრავლესობის ფორმატში ფრაქციის მიერ არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან, სამუშაო ფორმატის შეხვედრებზე განიხილებოდა სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი და ქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის:

- ახალი სამარშრუტო ხაზების შესახებ;
- გადახდის სააბონენტო სისტემის შემოღების შესახებ;
- ქაოტური განაშენიანების აღკვეთის გზების და უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული, კანონიერი ბერკეტების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ;
- უახლოეს მომავალში დაგეგმილი პროექტების შესახებ (ზღვის უბნის პარკი, ვარკეთილის ხევი; ციციშვილის, სარაჯიშვილის, ლიბანის, ფარნავაზის ქუჩებზე სკვერები, მეტეხის ფერდის და გეგეშიძის პარკის რეაბილიტაცია);
- დედაქალაქში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
- დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ;
- დედაქალაქში მიმდინარე პროექტების შესახებ;
- ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის შესახებ;
- სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ;
- დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ.

ღონისძიებები და შეხვედრები

მარიამ ზაქარიაშვილი მუდმივად ესწრებოდა საკრებულოს, მერიის, რაიონული გამგეობების, სპორტულიდა ახალგაზრდულ, სამთავრობო და არასამთავრობო

ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, შეხვედრებსა და სხვადასხვა სახის ცერემონიებს როგორებიცაა:

- ქალთა სპორტის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი პროექტების პრეზენტაცია;

- პნევმატური იარაღით სროლაში სასკოლო ლიგა 2022-ის ფინალისტების დაჯილდოება;

მარიამ ზაქარიაშვილმა დააჯილდოვა გამარჯვებულები. ტურნირში მონაწილეობა თბილისის 17 საჯარო და კერძო სკოლა.

- შალვა ძნელაძის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა;
- სტუ-ს 100 წლის იუბილე;
- მზიურის სტადიონის გახსნა;
- კამპანიის - ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში'' ფარგლებში, 2022 წლის ევროპის ფუტსალის ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრა;
- თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომა და გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ინიციატივების საჯარო განხილვები;
- არასამთავრობო ორგანიზაციის ჰელფინგ ჰენდის ინიციატივით, პროექტის - ,,მოზარდი მოხალისეების ჩართულობა პანდემიის გამოწვევის საპასუხოდ'' ფარგლებში, თბილისის კლუბის 25 ლიდერთან შეხვედრა;
- ევრობასკეტის თასი საკრებულოში;
- რიყეზე საქართველოს ფანზონა გაიხსნა (ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპისთვის);
- თბილსერვის ჯგუფის ახალი ტექნიკის პრეზენტაცია;
- ვარდისფერი ოქტომბერი;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული კამპანია „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“
- ქალთა სპორტის განვითრებასთან დაკავშირებული ფორუმი;
- პროექტი „კინო ყველგან“;

და სხვა მრავალი ღონისძიება.

საერთაშორისო შეხვედრების კუთხით - მარიამ ზაქარიაშვილი სხვა საკრებულოს წევრებთან ერთად IUSY-ს მშვიდობის კომიტეტის (PTN) წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა აღნიშნული კომიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს, ამასთანავე, ყურადღება გაამახვილეს არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის მშვიდობიან გზებზე და პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობასა და ხალხთა შორის დიალოგის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

ძირითადი ინფორმაცია ქვეყნდება მარიამ ზაქარიაშვილის “Facebook” გვერდზე და ასევე, საკრებულოს პრეს-სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას. მათ შორის, აქტივობების საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.